



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

პროგნოზიული საარჩევნო სისტემა – ერთადერთი
ოპტიმალური გზა საქართველოს დემოკრატიული
განვითარებისთვის

ბაკურ კვაშილავა

78

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ბაკურ კვაშილავა

**პროპორციული საარჩევნო სისტემა – ერთადერთი
ოპტიმალური გზა საქართველოს დემოკრატიული
განვითარებისთვის**

78

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9884-0

ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური საარჩევნო სისტემის არსებობას. ის ფაქტი, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავებულ საარჩევნო სისტემებს იყენებენ, მიუთითებს, რომ საყოველთაოდ ჩამოყალიბებული კონსენსუსი რომელიმე მეთოდის უპირობო უპირატესობის შესახებ არ არსებობს. ამ განსხვავებების მიზეზები ხშირად ისტორიული ხასიათისაა, სხვა შემთხვევებში კი, მიუთითებს ლიბერალური სახელმწიფოების მუდმივ მცდელობაზე კიდევ უფრო დახვეწონ საარჩევნო მეთოდი დემოკრატიის უფრო მაღალი ხარისხის მისაღწევად.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თითქმის ორი ათწლეულია ეს წარმოადგენს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს. 1995 წლიდან მოყოლებული საქართველოში ე.წ. პარალელური, ანუ შერეული საარჩევნო სისტემა მოქმედებს, სადაც დეპუტატთა დაახლოებით ნახევარი პროპორციული სისტემით, ხოლო მეორე ნახევარი კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. პრაქტიკულად მთელი ამ დროის განმავლობაში ოპოზიციაში მყოფი პარტიები სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ითხოვენ, ხოლო სამთავრობო რესურსის მქონე მათი მოწინააღმდეგეები თავგამოდებით იცავენ მაჟორიტარულ სისტემას. უფრო მეტიც, 2012 წლის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ ყოფილმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პოზიცია შეცვალა და ახლად „აღმოაჩინა“ მაჟორიტარული სისტემის დადებითი მხარეები. უდავოა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა საქართველოში სამთავრობო პარტიებს აძლევს ხელს. შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ საქმე უბრალო დამთხვევასთან არ გვაქვს და ამგვარი მიკერძოება სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ მოსალოდნელია ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც საქართველოს მსგავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეტაპზეა. შესაბამისად, მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების შენარჩუნებას. გარდა ამისა, მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს პარტიების რაოდენობის შემცირებას და ქმნის ტენდენციებს ორპარტიული სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

პროპორციულსა და მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებს სხვადასხვა პოლიტიკური შედეგი მოაქვთ, ვინაიდან პირველი ხელს უწყობს მოსახლეობის არჩევანის მაქსიმალური სიზუსტით

გამოხატვას, ხოლო მეორე ამომრჩევლის შეხედულებების აგრეგაციას აღწევს. ეს ყოველივე ამ საარჩევნო მეთოდების ხასიათიდან მომდინარეობს; მაჟორიტარული არჩევნებისას ერთი კანდიდატი იმარჯვებს, ხოლო დამარცხებული კანდიდატებისთვის მიცემული ხმები იკარგება. აქედან გამომდინარე, თეორიულად შეიძლება პარტიამ მიიღოს საერთო ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში გაცილებით ნაკლები ადგილი მოიპოვოს. ასე, მაგალითად, თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 100 დეპუტატი 100 მაჟორიტარული ოლქიდან უმრავლესობის წესით აირჩევა, შეიძლება მივიღოთ სიტუაცია, სადაც ერთმა პარტიამ 90 ოლქში მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა, ხოლო 10 ოლქში დიდი განსხვავებით დამარცხდა. შედეგად მივიღებთ, რომ პირველი პარტიის ადგილები საკანონმდებლო ორგანოში 90%-ს შეადგენს, ხოლო მიღებული ხმების საერთო რაოდენობა კი 47%-ზე ნაკლები იქნება.

მაჟორიტარული სისტემა	მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა		ხმების საერთო პროცენტული რაოდენობა	მანდატების პროცენტული რაოდენობა
	90 ოლქი	10 ოლქი	100 ოლქი	100 მანდატი
I პარტია	51%	10%	46.9%	90%
II პარტია	49%	90%	53.1%	10%

პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში კი, მანდატები მიღებული ხმების შესაბამისად ნაწილდება. ამრიგად, იმავე მაგალითის შემთხვევაში გამარჯვებული მეორე პარტიაა, რომელიც 53 მანდატს მიიღებს, ხოლო პირველი კი – 47 მანდატს. ნათელია, რომ მაჟორიტარულ სისტემაში საქმე გვაქვს მოსახლეობის ნების გამოხატვის დამახინჯებასთან. ბუნებრივია, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი თეორიულ სიტუაციას აღწერს, მაგრამ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობითაც ჩანს, რომ პროპორციული არჩევნებისას მოსახლეობის არჩევანი უფრო მეტად აისახება არჩეული საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაზე, ვიდრე მაჟორიტარული არჩევნების შემთხვევაში. ასე, მაგალითად, პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორების ჯონ ჰუბერისა და ბინგამ პაუელის კვლევის მიხედვით, რომელიც 12 დემოკრატიულ

ქვეყანაში 1968-1985 წწ. ჩატარებული არჩევნების შედეგების ანალიზს ეძღვნება, ჩანს, რომ პროპორციული არჩევნებისას მოსახლეობის მიერ გამოხატული ნება 12%-ით მეტი სიზუსტით გარდაისახება საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაზე, ვიდრე მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას. უფრო მოგვიანებით კი იმავე პაუელმა წიგნში „არჩევნები, როგორც დემოკრატიის ინსტრუმენტი“ 20 დემოკრატიულ ქვეყანაში ჩატარებული 153 არჩევნები გააანალიზა და დაასკვნა, რომ პროპორციული არჩევნების შედეგები დაახლოებით 5-ჯერ უფრო ახლოს არის ამომრჩევლის ნების გამოხატულებასთან, ვიდრე მაჟორიტარული არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის ნახევარზე ნაკლები აირჩევა მაჟორიტარული წესით, გალაგერის დისპროპორციულობის ინდექსი ძალზე მაღალია, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე შეადგენს 20.82.

გალაგერის დისპროპორციულობის ინდექსი საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში

პარტია	ხმების რაოდენობა %	მანდატების რაოდენობა %	სხვაობა	სხვაობის კვადრატი
„ქართული ოცნება“	48.68	76.67	27.99	783.25
„ნაციონალური მოძრაობა“	27.11	18	-9.11	82.99
„პატრიოტთა ალიანსი“	5.01	4	-1.01	1.02
„მრეწველები“	0.78	0.67	-0.11	0.01
გალაგერის ინდექსი (ფესვი სხვაობათა კვადრატების ჯამის ნახევრიდან)				20.82

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი 30%-ით აღემატება პაუელის კვლევაში განხილულ მაჟორიტარულ არჩევნებში დაფიქსირებულ საშუალო ინდექსს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა განსაკუთრებულად დიდი დისპროპორცია აჩვენა მოსახლეობის ნებასა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობას შორის.

ეს ყოველივე პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალური განვითარების დონეს. მართლაც, ისეთ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიზაციის პროცესში არიან, პოლიტიკის მკვლევრები მაჟორიტარული არჩევნების დაწერგვას სკეპტიკურად უყურებენ. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტოლოგი არენდ ლაიპჰარტი ასეთ ქვეყნებს პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებას ურჩევს. ამ საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ შეიძინა და ამ თემაზე აკადემიურმა დებატმა გაცხოველებული სახე მიიღო. ეს გამომდინარეობდა იმ ძვრებიდან, რომელიც ამ მოვლენას მოჰყვა და რომლის შედეგადაც აღმოსავლეთ ევროპის ოცამდე ქვეყანა დემოკრატიის მშენებლობას შეუდგა. არჩევნები დემოკრატიულობის უპირველესი კრიტერიუმია და საარჩევნო სისტემის ოპტიმალური ფორმა პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსების ერთ-ერთ უმთავრეს სადისკუსიო თემად გადაიქცა.

სანამ კონკრეტულად ამ თემას შევხებოდეთ, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მაჟორიტარული სისტემის დადებითი მხარეა ამომრჩეველსა და დეპუტატს შორის პირდაპირი ანგარიშვალდებულების წარმოშობა. კონკრეტული ოლქის ამომრჩეველს აქვს საშუალება არჩეული წარმომადგენლის საქმიანობა შეაფასოს და უკმაყოფილების შემთხვევაში გადაირჩიოს ის მომდევნო არჩევნებზე. მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს პარტიების გამსხვილებას და, შესაძლოა, ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებასაც. აქედან გამომდინარე, ხშირად შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ რომელიმე პარტიამ მოიპოვოს უმრავლესობა და ჩამოყალიბდეს ერთპარტიული მთავრობა. ერთპარტიული მთავრობა უფრო მეტად სტაბილურია, ვიდრე კოალიციური და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური კურსიც მეტი სტაბილურობით ხასიათდება არჩევნებიდან არჩევნებამდე. ასევე, ვინაიდან ერთპარტიულ მთავრობას არავისთან უნევს მმართველობის გაზიარება, მისი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი უფრო მაღალია – ასეთი მთავრობა ამომრჩეველის წინაშე აღებული ვალდებულებების ვერშესრულებას კოალიციურ პარტნიორს ვერ გადააბრალებს. შესაბამისად, ამომრჩეველიც შემდეგ არჩევნებზე უფრო ადვილად შეძლებს ჩამოყალიბდეს, შეასრულა თუ არა

მის მიერ შერჩეულმა პარტიამ საარჩევნო დანაპირები. მეორე მხრივ, ერთპარტიულ მთავრობას უკეთ შეუძლია დანაპირების შეუცვლელად შესრულება, ვინაიდან მას არ უნევს კომპრომისზე წასვლა კოალიციაში შემავალ პარტნიორებთან. ამ მიმართებით, ლოგიკურად უფრო მოსალოდნელია ერთპარტიულმა მთავრობამ უფრო შეასრულოს ამომრჩევლის დაკვეთა, ვიდრე კოალიციურმა ხელისუფლებამ.

ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ იმ უარყოფით შედეგებზე, რაც მაჟორიტარულ სისტემას ახასიათებს, თუმცა უპრიანია ამ საკითხის უფრო განვრცობა. პირველი და უმთავრესი არის ის, რომ მაჟორიტარული სისტემა ნაკლებად წარმომადგენლობითია და არჩეული საკანონმდებლო ორგანო უფრო ნაკლებად ასახავს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მრავალფეროვნებას, ვიდრე პროპორციული სისტემა. ზემოთ ნათლად გამოჩნდა, რომ ამომრჩევლის პრეფერენციებსა და განაწილებულ მანდატებს შორის დისპროპორცია მნიშვნელოვნად მაღალია მაჟორიტარულ სისტემაში პროპორციულთან შედარებით. ასევე ვნახეთ, რომ კონკრეტულად საქართველოს შემთხვევაში, ანუ იმ დროს, როცა მაჟორიტარული არჩევნები საარჩევნო სისტემის მხოლოდ ერთ კომპონენტს შეადგენდა, დისპროპორციამ ძალზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია, რომ პროპორციული სისტემისას დიდად მოსალოდნელია ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოიპოვოს მანდატების 50%-ზე მეტი და აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას უნდა ველოდოთ. ასეთი მთავრობა, შესაძლოა, არჩევნებიდან არჩევნებამდე უფრო არასტაბილური იყოს, რადგან კოალიციის რომელიმე წევრის მიერ მთავრობის დატოვება არსებული უმრავლესობის დაკარგვას და, შესაბამისად, ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას აყენებს დღის წესრიგში. ზოგ შემთხვევაში, ახალი მთავრობის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება და გარდაუვალია ვადამდელი არჩევნების ჩატარება. მეორე მხრივ, როგორც კვლევებმა აჩვენა, კოალიციური მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკა უფრო თანმიმდევრულია გრძელვადიანი ასპექტით. ნებისმიერი ახალი მთავრობა, რომელიც კოალიციური ხასიათისაა, წინა მთავრობის პოლიტიკის მეტ განგრძობითობას გვთავაზობს, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძველი სამთავრობო კოალიციის წევრების ნაწილი ახალ მთავრობაშიც იქნება წარმოდგენილი. მაჟორიტარულ სისტემაში კი როცა ერთ პარტიას მეორე ცვლის,

უფრო ხშირია პოლიტიკის დრამატული ცვლილებები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიან, თანმიმდევრულ განვითარებაზე. კოალიციური მთავრობა ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფს შორის დიალოგისა და კომპრომისის საჭიროებას და შესაბამისად, მრავალფეროვანი, მრავალპარტიული და პლურალისტური დემოკრატიის ჩამოყალიბებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროპორციული სისტემის მთავარი უარყოფითი მხარე კოალიციური მთავრობის მოკლევადიანი არასტაბილურობაა, რამაც შესაძლოა სახელმწიფო ინსტიტუტების უმოქმედობამდე მიგვიყვანოს, დადებითი მხარეები კი გაცილებით მეტია და როგორც წარმომადგენლობითობის, ისე გრძელვადიანი პოლიტიკის გასატარებლად არჩევნების ეს ფორმა ბევრად უკეთესია.

დებატები აკადემიურ წრეებში მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების შედარებით უპირატესობაზე ახლაც მიმდინარეობს. **ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას – მკველვართა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემას ალტერნატივა არა აქვს.**

ეს დასკვნა შემდეგ დამატებით გარემოებებს ეყრდნობა: პირველი, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება თანამედროვე ეპოქაში დაკავშირებულია ახალი სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული ეთნოლინგვისტური და რელიგიური უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრაციაზე. პროპორციული სისტემა საშუალებას აძლევს ასეთ ჯგუფებს მიიღონ მანდატები საკანონმდებლო ორგანოში, რაც მაჟორიტარული სისტემისას ნაკლებმოსალოდნელია. ნაკლებმოსალოდნელია იმიტომ, რომ პარტიების გამსხვილებისა და ორპარტიული სისტემის ტენდენციის წარმოშობის კვალდაკვალ ამომრჩეველი პოტენციურად უმრავლესობის მომპოვებელ პარტიებზე აკეთებს არჩევანს და უმცირესობის მხარდაჭერილ პარტიას უჭირს ამ პოზიციებზე გასვლა. მოვლენების ამგვარი განვითარება სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში აჩენს უმცირესობის ჯგუფებში საერთო სახელმწიფოს მიმართ გაუცხოებას, პოლიტიკურ პროცესებში მათი მონაწილეობის შემცირებასა და აპათიურ დამოკიდებულებას. ეს თანდათანობით შეიძლება გადაიზარდოს სეპარატისტულ ტენდენციებში, თუკი გამოჩნდა, რომ უმცირესობის ჯგუფები არაადეკვატურად არიან წარმოდგენილი ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნის მმართველობის სტრუქტურებში. ეს პრობლემა განსაკუთრებულად დგას სწორედ

ახალი ქვეყნების წინაშე, რადგან ჯერ არ არსებობს ისტორიულად დადასტურებული დემოკრატიული ტრადიცია, რომელიც დაარწმუნებდა უმცირესობათა ჯგუფებს, რომ მათ ინტერესებს ადეკვატურად ითვალისწინებენ. მეორე მიზეზი დემოკრატიული, პლურალისტური პოლიტიკური კულტურის არარსებობიდან გამომდინარეობს. ყოფილი დიქტატურის დემოკრატიად ტრანსფორმაციის პროცესში მოსალოდნელია გამარჯვებული პარტიის მიერ ერთიანობის ლოზუნგის გამოყენებით ხელისუფლების ზედმეტი კონცენტრაცია და საზოგადოებაში ნაკლებად არსებული პლურალიზმის ფონზე ერთპარტიული ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება. მაჟორიტარული სისტემა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, პარტიების რაოდენობის შემცირების ფონზე ხელს უწყობს ამგვარი შესაძლებლობების გაჩენას.

საქართველოს შემთხვევაში ეს მიზეზები და კიდევ რამდენიმე დამატებითი გარემოება ერთპარტიული, ნაკლებად ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან საშიშროებას ქმნის. ეს გარემოებებია: პირველი, ისტორიული გამოცდილება; პრაქტიკულად ყველა მთავრობა, 1995 წლიდან მოყოლებული, ერთპარტიულობის პრინციპზე იყო აგებული და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არ საჭიროებდა ოპოზიციური სპექტრის მხარდაჭერას. ამ შემთხვევაში, 2012 წელს გამარჯვებული კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთპარტიულ მთავრობად განიხილება, ვინაიდან ის ერთიანი ბლოკის სახით მონაწილეობდა არჩევნებში და მთავრობაც საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილი სხვა პარტიებისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა. კოალიციურ მთავრობაში კი იგულისხმება ისეთი ხელისუფლება, რომელიც არჩევნების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილ სხვა პარტიებთან მოლაპარაკების და მონაწილეობის შედეგად ყალიბდება. ამგვარად, თვალსაჩინო იყო დემოკრატიული პროცესების დეგრადაცია, რასაც საბოლოო ჯამში არაკონსტიტუციური გზით მთავრობის შეცვლამდე მივყავდით. მეორე, მაჟორიტარული არჩევნები უპირობოდ ხელს აძლევდა მმართველ პარტიას და ქმნიდა მნიშვნელოვან დისონანსს მოსახლეობის ნებასა და განაწილებულ მანდატებს შორის. ეს მოვლენა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და დეტალურ ახსნას საჭიროებს. ქვეყნებში, სადაც შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი მაღალია, და სწორედ ასეთია საქართველო, მაჟორიტარულ არჩევნებში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს არა პარტიის

პროგრამა, არამედ კლიენტელისტური შეთავაზებები კონკრეტული ამომრჩევლისათვის. ქონებრივი უთანასწორობა და უმუშევრობის მაღალი დონე საშუალებას აძლევს სამთავრობო კანდიდატს საკუთარ ამომრჩეველს შესთავაზოს არა ზოგადი სიკეთეები, არამედ კონკრეტული სარგებელი, როგორცაა სამთავრობო სტრუქტურებში დასაქმება, სახელმწიფო კონტრაქტები და სხვ. ამგვარი სარგებლის შეთავაზება წამგებიანია, როცა ამომრჩევლისა და დეპუტატობის კანდიდატის ფინანსური რესურსი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება და როცა ამომრჩეველთა უმრავლესობა რეალურად დასაქმებულია. საქართველოს შემთხვევაში, სახელმწიფოს როლი, როგორც მთავარი დამსაქმებლისა, განუზომლად დიდია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაქირავებულ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სახელმწიფოს მიერაა დასაქმებული. ეს მნიშვნელოვნად განსხვავდება თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების ანალოგიური მაჩვენებლებისგან. შესაბამისად, ადმინისტრაციული რესურსის მნიშვნელობა მაჟორიტარულ არჩევნებში გასამარჯვებლად განუზომლად დიდია. მესამე, ადმინისტრაციული რესურსის განონასწორება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პოლიტიკურ პარტიებს მყარი ფინანსური ბაზა აქვთ. ქართულ პოლიტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ოპოზიციური პარტიების დაფინანსება ხშირ შემთხვევაში 10-ჯერ და მეტად ჩამორჩება მმართველი პარტიის მაჩვენებლებს. მიზეზი, დიდი ალბათობით, პირდაპირი და ზოგჯერ არაპირდაპირი პოლიტიკური წნეხია, რომელიც ზღუდავს კერძო სექტორის მხრიდან საჭირო ინიციატივის გამოჩენას. ამ პოლიტიკური წნეხის განხორციელება განსაკუთრებით ადვილია ისეთი ეკონომიკური სტრუქტურის ქვეყანაში, როგორც საქართველოა. საქმე ისაა, რომ საქართველოს კერძო სექტორის კომპოზიციაში მსხვილი ბიზნესი დომინირებს. ასე, მაგალითად, დასაქმებულთა 50% სწორედ მსხვილ ბიზნესს ჰყავს დაქირავებული, ხოლო საერთო ბრუნვაში ამ სეგმენტის წილი დაახლოებით 80%-ს შეადგენს. შესაბამისად, დაფინანსების წყაროები რაოდენობრივად მცირეა და მათი მონიტორინგი მმართველი პარტიის მხრიდან გამარტივებულია. ეს ყოველივე ქმნის იმ საერთო სურათს, როცა მაჟორიტარული სისტემის არსებობა კიდევ უფრო აძლიერებს ერთპარტიულ ტენდენციებს.

აქედან გამომდინარე, პროპორციულ სისტემას საქართველოსთვის, განვითარების ამ ეტაპზე, ალტერნატივა არა აქვს, თუკი ჩვენი მიზანი სტაბილური, ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაა.

დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით პრინციპული კონსენსუსი არსებობს, როგორც ეს მმართველი პარტიიდან წარდგენილმა საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა არაერთხელ დაადასტურეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაჟღერებული ფორმულა, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულმა პარტიამ გაუნაწილებელი მანდატების 100% უნდა მიიღოს, ძირეულად უარყოფს იმ შედეგებს და შინაარსს, რის გამოც პროპორციულ საარჩევნო სისტემას უპირობო უპირატესობა ენიჭება. პროპორციული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ერთპარტიულ მთავრობასა და ამომრჩევლის ნებასა და რეალურ წარმომადგენლობას შორის დისპროპორციის შენარჩუნებას, იგივე მაჟორიტარული სისტემაა თავისი ყველა შედეგით. იტალიისა და საბერძნეთის მაგალითების მოყვანა ვერ გამოდგება საპირობედ ევროკავშირის 20-მდე ქვეყანაში არსებული სრულიადსანიანალმდეგო პრაქტიკისა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იტალიასა და საბერძნეთში ამ პრაქტიკის დანერგვა ამ ქვეყნების პოლიტიკური და სოციალური სპექტრის ისტორიული დანაწევრებით იყო განპირობებული. **საქართველოს შემთხვევაში კი, ბოლო ორი დეკადის მანძილზე დიამეტრალურად განსხვავებული გამოწვევის წინაშე ვდგავართ – ეს არის ერთპარტიული პოლიტიკური სისტემა, სადაც მმართველ პარტიას არ უწევს კომპრომისზე წასვლა არც ერთ პოლიტიკურ ოპონენტთან.** შედეგად ვიღებთ ამომრჩეველსა და არჩეულს შორის ანგარიშვალდებულების რღვევას, ავტორიტარულ ტენდენციებს და საშიშროებას, რომ პოლიტიკური პროცესი კონსტიტუციურ ჩარჩოებს გასცდეს. ოპოზიციური პარტიების ენდემური სისუსტის დაძლევა ჩვენი რესურსებისა და განვითარების მქონე ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ რეალური პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვის შემდეგ შეიძლება მოხდეს. ეს არის პლურალისტური და სტაბილური დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი.